სზაკ-ის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენა შესაძლებელს ხდის და აადვილებს არამართო ხელისუფლების მხრიდან (საქართველოს პარლამენტი და საქართველოს პრეზიდენტი), არამედ საზოგადოების მხრიდანაც, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონტროლს. პროექტის ფარგლებში „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ 49-ე მუხლის მოთხოვნების შესრულების შესწავლის მიზნით 9 სამიზნე საჯარო დაწესებულებიდან (იუსტიციის სამინისტრო, აჭარის მთავრობა და აჭარის სამინისტროები, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონტროლის პალატა, საჯარო სამსახური ბიურო) გამოითხოვა 2009, 2010 და 2011 წლებში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაგზავნილი 10 დეკემბრის ანგარიშები. სამწუხაროდ სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოდან აღნიშნული ინფორმაცია ვერ მივიღეთ.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ყველაზე სრულყოფილად სზაკ-ის მოთხოვნებს აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიში პასუხობს. წერილი 49-ე მუხლის ყველა პუნქტის გათვალისწინებითაა შედგენილი. ერთადერთი საკითხი, რომელზეც სამინისტროს ანგარიშში ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, საჯარო მონაცემთა ბაზების დამუშავების საკითხია.

დასკვნა

ანალიზის შედეგად ჩანს, რომ საჯარო დაწესებულებების უმეტესობა ნაკლებად თვალისწინებს სზაკ-ის 49-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს 10 დეკემბრის ანგარიშის შედგენისას. შეიძლება ითქვას რომ თითოეულ დაწესებულებას ანგარიშების შედგენის საკუთარი სტანდარტი აქვს. ერთი საჯარო უწყების მიერ სამივე წელს წარდგენილი ანგარიში ერთმანეთის მსგავსია. შერჩეულია გარკვეული პუნქტები რომლებზეც სტანდარტული პასუხებია გაცემული.

სზაკის 49-ე პუნქტით გათვალისწინებული 7 პუნქტიდან მხოლოდ ორი პუნქტია ისეთი, რომელზეც ინსტიტუტის მიერ შესწავლილ ყველა ანგარიშშია მოცემული ინფორმაცია - საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების რაოდენობა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნის შეტანის საკითხი.

2009-2011 წლის ანგარიშების შედარებამ აჩვენა რომ წლიდან წლამდე ძირითადად მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობრივი მონაცემები იცვლება და არ ხდება არსებული ხარვეზების გამოსწორება. ანგარიშებში ასახული მონაცემები უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილია, არ შეესაბამება სზაკ-ის მოთხოვნებს და აქედან

გამომდინარე ნაკლებად ასახავს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ რეალურ ვითარებას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ საჯარო დაწესებულებების მხრიდან ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური სახე აქვს და არ ხდება ზემდგომი დაწესებულებებისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება. სამწუხაროდ მაკონტროლებელი ორგანოებიც ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან აღნიშნულ საკითხს, რადგან არც პრეზიდენტის ადმინისტრაცია და არც პარლამენტი არ ახდენს შესაბამის რეაგირებას არასრულყოფილად შედგენილ ანგარიშებზე, არ ხდება მათი შესწავლა და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა .

ვფიქრობთ, რომ პრობლემის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი ანგარიშის სტანდარტიზირებული ფორმის არ არსებობაა, გამოსავალი კი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ამგვარი ფორმის დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემა შეიძლება იყოს.

რეკომენდაცია:

საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამტკიცდეს 10 დეკემბრის ანგარიშის ფორმა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიშის ფორმა

საქართველოს პრეზიდენტს / საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ / ქალბატონ

საჯარო დაწესებულების

სახელწოდება

ა. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯები

ბ. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შესახებ

არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა	უარის თქმის საფუძველები (შესაბამისი საკანონმდებლო აქტები)	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები	მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა

გ. მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)

დ. მონაცემები საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ

საჯარო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი	საჯარო მონაცემთა ბაზების აღწერილობა

ე. მონაცემები კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ

კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა	სხდომის დახურვის საფუძველი - შესაბამისი საკანონმდებლო აქტები	გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები	მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელი თანხის ოდენობა

ვ. მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ

საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა	დარღვევებზე პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების რაოდენობა


ხელმოწერა:

თარიღი:

აჭარის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2009-2011 წწ.

2009-2011 წლებში აჭარის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის 116 მოთხოვნა შევიდა. მოთხოვნების დიდი ნაწილი - 82 კითხვა, 2011 წელს იქნა გაგზავნილი. 23 შეკითხვა გაიგზავნა 2010 წელს, ხოლო 2009 წელს მხოლოდ 11.


ეს მონაცემები ნაწილობრივ ასახავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეალურ სურათს, რადგან ჯანდაცვის სამინისტრომ, სამინისტროს არქივში მიმდინარე სამუშაოების გამო გაცემული საჯარო ინფორმაციის რეკვიზიტები სრულად ვერ მოგვაწოდა. როგორც აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს წერილებიდან ირკვევა, საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი სამინისტროს მიერ განხორციელებულმა სამეცნიერო, კულტურულმა და სოციალურმა ღონისძიებებმა გამოიწვია (სულ 21 მოთხოვნა).



არანაკლებ აქტუალურია პროექტებისა და პროგრამების საკითხი (14 მოთხოვნა). პროექტებთან/პროგრამებთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა 2011 წელს იქნა გაგზავნილი. განმცხადებლები ხშირად ითხოვენ ინფორმაციას თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების ხელფასებისა და პრემიების შესახებაც.


სამინისტროდან ასევე მოთხოვნილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს შესახებ. თუმცა სამწუხაროდ 2009 -2011 წლებში გაგზავნილი 18 მოთხოვნიდან მხოლოდ ერთს გაეცა სრულყოფილი პასუხი. დანარჩენ შემთხვევაში განმცხადებლებს უთითებენ ვებ-გვერდზე ან ამისამართებენ სხვა დაწესებულებებში.

2009- 2011 წლის მონაცემების მიხედვით სამინისტრომ მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის 51% გასცა სრულყოფილი სახით. პასუხების საკმაოდ დიდი ნაწილი 44 % არასრულყოფილია ხოლო, მოთხოვნების 5 % იგნორირებულია.




კატეგორიების მიხედვით ყველაზე მეტი არასრულყოფილი პასუხი სტატისტიკურ ინფორმაციაზე და პროექტებსა და ღონისძიებებზე მოდის.

მოწოდებული ინფორმაცია ბლოკების მიხედვით



ჯანდაცვის სამინისტროს პასუხები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე არასრულყოფილია, რადგან არ ხდება ინფორმაციის გაცემა მოთხოვნის ფორმის შესაბამისად. ინფორმაციის მომთხოვნს ხშირად უთითებენ სამინისტროს ვებ-გვერდზე ან ამისამართებს სხვა საჯარო დაწესებულებაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია და „აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს“.

რაც შეეხება იგნორირებულ მოთხოვნებს ასეთი სულ 6 შემთხვევა დაფიქსირდა და ამათგან 3 კითხვა თანმდებობის პირების ხელფასებს დანამატებსა და პრემიებს უკავშირდება. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის გადაწყვეტილება სამინისტროს აღნიშნულ პერიოდში არ მიუღია. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოთხოვნების უმეტესობას (65%) სზაკ-ის მე-40 მუხლის, პირველი ნაწილით გათვალისწინებული პროცედურული ნორმის დაცვით გასცა პასუხი. თუმცა სამწუხაროდ ვადის დარღვევით გაცემული ინფორმაციის პროცენტული მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია და 35%-ს შეადგენს.



მოთხოვნების შინაარსის მიხედვით ვადის დარღვევით გაეცა პასუხი პროექტებთან, ღონისძიებებთან და სტატისტიკური მონაცემებთან დაკავშირებით დასმული შეკითხვების დიდ ნაწილს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი: აჭარის ა/რ შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		
მოთხოვნილი ინფორმაციის კატეგორია	მოთხოვნილი ინფორმაციის ქვეკატეგორია	კომენტარი
1. ბიუჯეტი	1.1. ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია	პირველი კვარტალის ბიუჯეტი არ მოუწოდებიათ.
2. სარეზერვო ფონდები	2.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ	
	2.2. გამოყოფილი თანხების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ასლი.	
	2.3. სარეზერვო თანხების ხარჯვის ანგარიში	
3. უძრავი ქონება	3.1. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი	
	3.2. საჯარო დაწესებულების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება	
4. სახელმწიფო შესყიდვები	4.1. განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია)	
	4.2. სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშები	

	4.3. შესყიდვების ხელშეკრულებები	
5. სატელეკომუნიკაციო ხარჯები	5.1. თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია.	
	5.2. თანამშრომლების ხარჯები სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობილურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები).	
6. მივლინებები	6.1. ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით (ცალ-ცალკე) განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ.	არ არის ინფორმაცია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ გაწეული ხარჯების შესახებ.
	6.2. თანამშრომლების სამივლინებო ხარჯები	
7. ავტოპარკი	7.1. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი	
	7.2. თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე ავტომანქანების პერსონალური განაწილება.	
	7.3. თანამდებობის პირების საწვავის ფაქტობრივი ხარჯი.	
	7.4. თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ტიპი.	არ არის მოწოდებული ინფორმაცია საწვავის ტიპის შესახებ.

	7.5. სრული სისტემის თანამშრომლებზე საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სრული.	მითითებულია 'მორიგე ავტომანქანა', თუმცა სრული სისტემის ხარჯები გამოყოფილი არ არის.
	7.6. თანამდებობის პირების მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა.	
	7.7. სრული სისტემის მიერ ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა.	
8. შტატი	8.1. შტატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა.საშტატო ნუსხა	
	8.2. შტატგარეშე მომუშავე პირთა რაოდენობა.	
	8.3. თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა საკონტაქტო ინფორმაცია	
	8.4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია.	
9. ხელფასები/ დანამატები/პრემიები	9.1. თანამდებობის პირებზე გაცემული ხელფასების რაოდენობა.	
	9.2. თანამდებობის პირებზე გაცემული დანამატების რაოდენობა.	
	9.3. სრულ სისტემაზე გაცემული ხელფასების რაოდენობა.	
	9.4 სრულ სისტემაზე გაცემული დანამატების რაოდენობა.	
	9.5 თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების რაოდენობა.	

	9.6. სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებზე დარიცხული პრემიების რაოდენობა.	
10. საჯარო ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები და საჯარო ინფორმაციის რეესტრი	10.1. იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით (დოკუმენტების ასლების გარეშე).	არ არის მოწოდებული რეკვიზიტები და აქტების ჩამონათვალი.
	10.2. საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრის ასლი ან/და ელექტრონული ვერსია.	
11. ვებ-გვერდის შექმნის ხარჯები	11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაცია.	
12. პროექტებთან ან პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია	12.1. განხორციელებული პროექტების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ჩამონათვალი.	
	12.2. ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ.	სამინისტროს პასუხში მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე მითითება.
	12.3. თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების რაოდენობა.	
	12.4. განხორციელებული პროექტების ანგარიშები	სამინისტროს პასუხში მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე მითითება.

13. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა	13.1. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ჩამონათვალი.	
	13.2. თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა.	
	13.3. ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ	სამინისტროს პასუხში მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე მითითება.
	13.4. განხორციელებული ღონისძიებების (სარეკლამო, კულტურული, საგანანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა) ანგარიშები.	სამინისტროს პასუხში მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე მითითება.
14. სამართლებრივი აქტები		მითითებაა სამინისტროს ვებგვერდზე. ამისამართებენ სხვა დაწესებულებასთან;
15. სხვა საჯარო ინფორმაცია	15.1. ინფორმაცია სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სსიპების შესახებ.	
	15.2 ინფორმაცია სამინისტროს მიერ დაფუძნებული ააიპების შესახებ	
	15.3. ინფორმაცია ეკომიგრანტების შესახებ;	მოთხოვნაზე, რომელიც სტიქიით დაზარალებულთა დახმარებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხების ოდენობას ეხება ნათქვამია რომ დახმარება კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება
	15.4. ინფორმაცია ანაზღაურებად და არაანაზღაურებად შვებულებაში მყოფი თანამშრომლების რაოდენობის შესახებ;	
	15.5. შვებულებაში გასვლისა და შვებულების დასრულების თარიღები	

16. სტატისტიკური ინფორმაცია	16.1. 2006-2009 წლებში გარდაცვლილ ახალშობილთა რაოდენობა, გარდაცვალების მიზეზების მითითებით	ამისამართებენ სხვა დაწესებულებაში და უთითებენ ვებ-გვერდს
	16.2. 2006 წლის მონაცემებით სანატორიუმ ბათუმში სანატორიუმის გასხვისებამდე მცხოვრები ოჯახების რაოდენობა	
	13.3. სამედიცინო დაწესებულებების კერძოდ სავადმყოფოების, ამბულატორიების, სასწრაფოების, სანიტარული სადგურების რაოდენობა, მათი ჩამონათვალი და თითოეულის საკუთრების ფორმა	სტატისტიკური ინფორმაცია ჯანდაცვისა და სოციალური სფეროდან მოთხოვნილ იქნა ერთი ორგანიზაციის მიერ სამინისტროს პასუხში მათ ამისამართებენ სხვა დაწესებულებებში
	16.4. სამედიცინო დაწესებულებების კერძოდ სავადმყოფოების, ამბულატორიების, სასწრაფოების, სანიტარული სადგურების ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობა	
	16.5. სამედიცინო დაწესებულებებში მეან-გინეკოლოგიური, ქალთა კონსულტაციის და პედიატრიული განყოფილებების რაოდენობა	
	16.6. სასაწრაფო დახმარების სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა	
	16.7. სავადმყოფოებში საწოლების რიცხვი	
	16.8. 2006-2010 წწ. ექსპლუატაციაში შესულ სამედიცინო დაწესებულებათა ჩამონათვალი	

	16.9.2006-2010 წწ. სოფლრბი და თემები, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დაწესებულებებს	
	16.10.2006-2010 წწ. გარემონტებულ სამედიცინო დაწესებულებათა რაოდენობა.რემონტის ღირებულება	
	16.11.მუნიციპალიტეტებში გავრცელებული ძირითადი დავადებები	
	16.12. 2006-2010 წწ. ამორტიზებულ და სარემონტო სამედიცინო დაწესებულებათა რაოდენობა.ფართი	
	16.13. 2006-2010 წწ. პენსიონერთა, მათ შორის მომუშავე პენსიონერთა (ცალკე) რაოდენობა.	
	16.14. 2006-2010 წწ. სოციალური დახმარების მიმღები პირების რაოდენობა, კატეგორიები;	
	16.15. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისა და ოჯახების რაოდენობა	
	16.16. ბავშვთა სახლებისა თავშესაფრების და უფასო სასადილოების რაოდენობა	
	16.17. საქველმოქმედო ორგანიზაციების და შშმ პირთა გაერთიანებების რაოდენობა	
17. საკონსულტაციო ხასიათის შეკითხვები	17.1. ეკუთვნის თუ არა მოქალაქეს, რომელსაც აქვს გულის სხვადასხვა დაავადებები, მუდმივი პენსია	

ფოკუსირებული დისკუსიების შედეგები

“[ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა](#)” კვლევის სრულყოფილად განხორციელების მიზნით პროექტის ფარგლებში **ფოკუსირებულ დისკუსია** გამართა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან. **დისკუსია მიზნად ისახავდა** ინფორმაციის გაცვლას და გამოცდილების გაზიარებას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნასთან დაკავშირებით, სამიზნე საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის პრაქტიკის ანალიზს და საზოგადოებისთვის საინტერესო და ყველაზე მოთხოვნადი ინფორმაციის თემატიკის დადგენას.

შეხვედრები გაიმართა როგორც ქალაქ ბათუმში ისე თბილისში. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტერნეტ მედიისა და ბეჭდური მედიის, ასევე სტუდია მონიტორის ჟურნალისტებმა, რომლებსაც ინფორმაციის გამოთხოვნის საკმაოდ დიდი პრაქტიკა აქვთ და თავიანთი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად ითხოვენ საჯარო ინფორმაციას G3-ის პარტნიორი დაწესებულებებიდან.

როგორც დისკუსიებიდან გამოიკვეთა, სამიზნე დაწესებულებებიდან, კერძოდ იუსტიციის სამინისტროდან და კონტროლის პალატიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პრაქტიკა არაერთგვაროვანია, რადგან ინფორმაციის გაცემა ხშირად დამოკიდებულია მოთხოვნის შინაარსზე. ერთის მხრივ, იუსტიციის სამინისტრო ყოველთვის ვადის დაცვით გასცემს ინფორმაციას და დამუშავებული სახით გასცემს მონაცემებს, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ მოთხოვნა ეხება ისეთ „სენსიტიურ“ თემებს, როგორცაა მაგალითად პრემიები ან მივლინებები ინფორმაციის მიღება რთულდება. ანალოგიურია ინფორმაციის გამოთხოვნის პრაქტიკა კონტროლის პალატიდანაც. მედიის წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ ინფორმაციის მოთხოვნის წერილებით კონტროლის პალატას, მათი აზრით სასურველია ვებ-გვერდზე განთავსდეს კონტროლის პალატის მიერ შემოწმებული დაწესებულებების ნუსხა. ეს საშუალებას მისცემს ჟურნალისტებს გამოითხოვონ კონკრეტული უწყებების დოკუმენტები, რაც დააჩქარებს და გააადვილებს ინფორმაციის მიღებას. ასევე საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე აუცილებლად უნდა განთავსდეს ბიუჯეტის შესრულების ბალანსი.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით ადვილია ინფორმაციის მიღება შესყიდვების სააგენტოდან, მაღალია სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხიც. თუმცა, საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილ შესყიდვების ოპერატიულ და წლიურ ანგარიშების წერილობით გამოთხოვნა ჟურნალისტებს მაინც უხდებათ. ერთადერთი რეკომენდაცია დისკუსიის

მონაწილეების მხრიდან შეეხებოდა საკანონმდებლო ცვლილებების შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე დროულ ასახვას.

ჟურნალისტების აზრით ადვილია ინფორმაციის მიღება საჯარო სამსახურის ბიუროდან. თუმცა, აჭარის ა/რ მთავრობის შესახებ რეგიონალური და ცენტრალური მედიის მოსაზრებები ერთმანეთს არ დაემთხვა. ბათუმის მედიასაშუალებების აზრით აჭარის ა/რ მთავრობის აპარატიდან ხშირად რთულია სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. ხოლო, თბილისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების აზრით აჭარის მთავრობის აპარატიდან საჯარო ინფორმაციის მიღება კანონმდებლობის ნორმათა დაცვით ხდება.

რაც შეეხება მოთხოვნილი ინფორმაციის თემატიკას, ყველაზე ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივად ხარჯვის საკითხი და ფინანსური ხასიათის ინფორმაცია აინტერესებთ. ხშირად ითხოვენ ინფორმაციას სარეზერვო ფონდების, შესყიდვების, შტატის, ბიუჯეტის, ხელფასებისა და პრემიების, სოციალური პროგრამების, პროექტების, სამივლინებო, საკომუნიკაციო და ავტოპარკის ხარჯების, ასევე სხვადასხვა სამართლებრივი აქტების შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებმა შეხვედრებზე ისაუბრეს ზოგადად იმ პრობლემებზე რომლებიც რეალურად არსებობს და რომლებსაც ისინი აწყდებიან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისას როგორც საჯარო დაწესებულებების ასევე სასამართლოს მხრიდან. ძალიან ხშირია ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევები. საჯარო დაწესებულებები ხშირად მარტივი ინფორმაციის გაცემასაც ათ დღეს ანდომებენ. ზოგჯერ მიღებული პასუხები არაადეკვატურია და არ პასუხობს კონკრეტულ მოთხოვნებს. ხშირია ვებ-გვერდზე გადამისამართება. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების აუცილებლობას.

ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის ხელმისაწვდომობა და საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებაც ჟურნალისტებისა და არასამთავრობოების აზრით აუცილებლად უნდა მოხდეს, საკმაოდ ვრცელია და შემდეგ საკითხებს მოიცავს:

1. პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ბალანსი;
2. ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ (შესყიდვების სააგენტო);
3. კონტროლის პალატის მიერ შემოწმებული დაწესებულებების ნუსხა;
4. ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებები;

5. აუქციონის წესით გასხვისებული ქონების შესახებ დადებული ხელშეკრულებები;
6. მსხვილი ობიექტების პრივატიზების ხელშეკრულებები;
7. სააქციო საზოგადოებებში ხმის უფლების მქონე აქციონერთა ვინაობა;
8. ინფორმაცია ქვეკონტრაქტორების შესახებ ერთ პირთან მოლაპარაკების შემთხვევებში;
9. ქართული მხარის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები;
10. პრეზიდენტის განკარგულებები და ბრძანებულებები;
11. ააიპ-ების მიერ საბიუჯეტო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

მედიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათთვის ღია უნდა იყოს მთავრობის სხდომები.

რეკომენდაციები

2009, 2010, 2011 და ზოგ შემთხვევაში 2012 წლის მანძილზე 9 სამიზნე საჯარო დაწესებულებებიდან (აჭარის ა/რ მთავრობა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს კონტროლის პალატა, საჯარო სამსახურის ბიურო, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) გამოთხოვილი და ამ დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საზოგადოებისთვის ძირითადი აქტუალობის მქონე საკითხები, რის საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები აღნიშნული საჯარო დაწესებულებებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება საქართველოში მოქმედ ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს თანაბრად მოეთხოვება, ქვემოთ წარმოდგენილია ის ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რაც აღნიშნული ცხრა დაწესებულების საქმიანობის დეტალური ანალიზის შედეგად გამოვლენილ საერთო ტენდენციებს ეყრდნობა, და რაც ყველა ამ საჯარო დაწესებულებას თანაბრად ეხება. უფრო მეტიც, შესაძლებელია რეკომენდაციების გავრცობა იმ საჯარო დაწესებულებებზეც, რომლებიც მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფში არ მოხვდნენ.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში გაანალიზირებული ცხრა დაწესებულებიდან აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი, რომლის მიერ 2009-2011 წლებში სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაციის მაჩვენებელი მხოლოდ 18%-ს შეადგენს. ხუთ შემთხვევაში სრულყოფილი პასუხების წილი განსაკუთრებით მაღალია - 87%-98%. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები დამაიმედებელია, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყოველ ცალკეულ მოთხოვნაზე პასუხის, განსაკუთრებით კი დროული პასუხის, გაცემა მოითხოვს ადამიანური, ფინანსური და დროის რესურსების ხარჯვას. მაგ. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ვადების დაცვით გაცემული ინფორმაციის წილი შეადგენს 45%-ს, ხოლო აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტროს არც ერთ მოთხოვნაზე არ გაუცია პასუხი ვადების დაცვით. მართალია, საჯარო დაწესებულებებში არიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები, თუმცა შიდა ბიუროკრატიის, შემოსული და გასული წერილების გატარების, საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და საბოლოოდ პასუხის გაცემის პროცესი ხშირად ერთ დღეზე მეტ დროს მოითხოვს, და ერთზე მეტი ადამიანის ჩართულობას საჭიროებს. თვალსაჩინოებისთვის, საჯარო სამსახურის ბიურომ 2009 წელს 60 სრული სამუშაო დღე დაკარგა მხოლოდ ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე პასუხის გაცემაზე. სამი თვის - სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის - განმავლობაში კი თითქმის ყოველ დღე უწევდა ამ საკითხზე შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მუშაობა. ამასთან, დათვლილია მხოლოდ უნიკალური დღეების რაოდენობა - მაგ. თუ ერთი მოთხოვნა შევიდა 7 სექტემბერს და პასუხი გაეცა 9 სექტემბერს, ხოლო მეორე შევიდა 8 სექტემბერს და პასუხი გაეცა 9 სექტემბერს, ის დღეები, რომლებიც გადაიფარა (8 და 9 სექტემბერი) მხოლოდ თითო-თითოჯერ იქნა დათვლილი, თუმცა რეალურად ამ დღეებში დატვირთვა უფრო მეტი იქნებოდა. თუ უბრალოდ შევაჯამებთ ყველა მოთხოვნაზე დახარჯულ დღეებს ცალ-ცალკე (კალენდარული დღეების გათვალისწინების გარეშე), ეს მაჩვენებელი ორჯერ და სამჯერ გაიზრდება, რადგან შემთხვევები როდესაც მოკლე პერიოდში ერთზე მეტი მოთხოვნა იყო პასუხგასაცემი, საკმაოდ ხშირია.

September 2009							ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები
Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat	Sun	
	1	2	3	4	5	6	0
7	8	9	10	11	12	13	4
14	15	16	17	18	19	20	5
21	22	23	24	25	26	27	5
28	29	30					3

17

October 2009							ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები
Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat	Sun	
			1	2	3	4	2
5	6	7	8	9	10	11	5
12	13	14	15	16	17	18	3
19	20	21	22	23	24	25	2
26	27	28	29	30	31		4

16

November 2009							ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები
Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat	Sun	
						1	0
2	3	4	5	6	7	8	2
9	10	11	12	13	14	15	5
16	17	18	19	20	21	22	5
23	24	25	26	27	28	29	5
30							1

18

December 2009							ქონებრივ დეკლარაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნების დამუშავებაზე გამოყენებული დღეები
Mon	Tue	Wed	Thu	Fri	Sat	Sun	
	1	2	3	4	5	6	2
7	8	9	10	11	12	13	1
14	15	16	17	18	19	20	1
21	22	23	24	25	26	27	0
28	29	30	31				0

4

Sum 55

2010 წლიდან, რაც საჯარო სამსახურის ბიურო გადავიდა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონულ სისტემაზე, მოთხოვნილი საკითხების რაოდენობა 570-დან (2009 წელს) 149-მდე შემცირდა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითი იმის, თუ როგორ შეუძლია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას შეამსუბუქოს საჯარო დაწესებულების საქმიანობა.

აქედან გამომდინარე, სასურველია, საჯარო დაწესებულებებმა პროაქტიულად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების მიღებამდე, გაასაჯაროონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც პოტენციურად დიდი ინტერესის და მნიშვნელობის მქონეა საზოგადოებისთვის. კვლევის განმავლობაში ჩატარებული დეტალური ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს ინფორმაციის ის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც ყველაზე აქტუალური და მოთხოვნადია აღნიშნული ცხრა დაწესებულების პრაქტიკის შემთხვევაში.

➤ **საჯარო დაწესებულების ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება** - უმეტესწილად, მოთხოვნილი ინფორმაცია ეხება საჯარო დაწესებულების ადმინისტრაციულ ხარჯებს, რისი ცოდნაც აუცილებელია, რათა მოსახლეობა საქმის კურსში იყოს საზოგადოებრივი რესურსების განკარგვის თაობაზე. ასეთი ინფორმაცია ძირითადად მოიცავს შემდეგ კატეგორიებს, თუმცა არ შემოიფარგლება აღნიშნულით:

- **ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ** (ბიუჯეტის შესრულების ბალანსი, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები, არასაბიუჯეტო შემოსავლები და ა.შ.);
- **ინფორმაცია სარეზერვო ფონდების შესახებ** (სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ოდენობა, გამოყოფილი თანხით დაფინანსებული აქტივობები, სარეზერვო თანხების ხარჯვის ანგარიში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები და ა.შ.);
- **ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ** (განხორციელებული შესყიდვების ჩამონათვალი, თითოეულ შესყიდვაზე გახარჯული თანხის ოდენობა, შესყიდვების გეგმები, ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ იურიდიულ პირთა და/ან ინდივიდუალურ მეწარმეთა შესახებ, გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები, ტენდერების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების ანგარიშები და ა.შ.);
- **ინფორმაცია სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ** (თანამდებობის პირების, სრული სისტემის, სატელეფონო საუბრებზე დახარჯული თანხები, ტელეფონების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები და ა.შ.);

- ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ (ინფორმაცია ოფიციალური ვიზიტების შესახებ, მივლინებებისთვის გამოყოფილი ხარჯები წლების მიხედვით და ა.შ.);
- ინფორმაცია ავტოპარკის ხარჯების შესახებ (ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რაოდენობა, შეძენის თარიღი, ღირებულება, დაფინანსების წყარო, შესყიდვის ფორმა, თანამდებობის პირებზე/ადმინისტრაციის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე რიცხული ავტომანქანების ჩამონათვალი და პერსონალური გადანაწილება, საწვავის ფაქტობრივი ხარჯი, მოხმარებული საწვავის ტიპი, საწვავის ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი, ავტომანქანების მომსახურებაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა, თითოეული შეძენილი ავტომანქანის დაფინანსების, სარგებლობაში არსებული ავტომანქანის წარმომავლობის წყარო და ა.შ.);
- ინფორმაცია ხელფასების, დანამატებისა და პრემიების შესახებ (თანამდებობის პირების ხელფასები, დანამატების და პრემიები, თანამშრომლების ხელფასებზე, დანამატებსა და პრემიებზე დახარჯული კვარტალური თანხები, საშტატო ერთეულებზე განსაზღვრული სახელფასო ანაზღაურება, საპრემიო ფონდისთვის განსაზღვრული თანხების რაოდენობა და ა.შ.);
- ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მფლობელობაში არსებული ობიექტების შესახებ (ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და ღირებულება, გასხვისებული ობიექტების რაოდენობა, მისამართი, გასხვისების პირობები და დოკუმენტაცია, ინფორმაცია სიმბოლურ ფასად გადაცემული ობიექტების შესახებ, ინფორმაცია გადაცემული ობიექტების განკარგვის, გასხვისების შესახებ და ა.შ.);
- ინფორმაცია კრედიტორული და დებიტორული ვალის შესახებ - ვალის წარმოშობის დრო და დაგროვების მიზეზები, შესაბამისი დოკუმენტაციით;
- სხვადასხვა სახის დანახარჯები (ინფორმაცია საჩუქრებზე და ოფიციალურ მიღებებზე დახარჯული თანხების შესახებ და ა.შ.).

➤ ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ - ხშირად საზოგადოება ინტერესდება ისეთი სტატისტიკური სახის ინფორმაციით, რომელიც ეხება საჯარო დაწესებულების საქმიანობას. ასეთი ინფორმაციის ვებ-გვერდზე პროაქტიულად განთავსება თავიდან ააცილებს დაწესებულებას ზედმეტ მოთხოვნებს ისეთ სტანდარტულ საკითხებზე, როგორცაა:

- ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების შესახებ (შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირების საერთო რაოდენობა, თანამშრომლების სია

თანამდებობების მიხედვით, დასაქმებულ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაცია კადრების შერჩევის წესისა და ჩატარებული კონკურსების შესახებ, ინფორმაცია ანაზღაურებადი შვებულებების შესახებ - თანამდებობის პირთა ვინაობა, შვებულების დრო, ხანგრძლივობა, ანაზღაურების რაოდენობა და ა.შ.);

○ **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეულების შესახებ** (სტრუქტურული ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპების ჩამონათვალი, სტატუსი და მოვალეობები, შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომლითაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (აქტის დასახელება, გამომცემი ორგანო, გამოცემის თარიღი და ნომერი), საქვეუწყებო დაწესებულებების ჩამონათვალი, მისამართები და ხელმძღვანელი პირების დასახელება, ინფორმაცია დარეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების შესახებ (რაოდენობა, იურიდიული პირების სია, ხელმძღვანელის, მისამართის, ტელეფონის და ვებ-გვერდის ჩათვლით და ა.შ.)

○ აქვე ცალკე გამოსაყოფია, თუ რომელი სტრუქტურული ერთეულის ვალდებულებაში შედის სზაკ-ით დადგენილი **საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება** და აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის საკონტაქტო ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების სახელი და გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია.

➤ **ინფორმაცია საჯარო დაწესებულების პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ** - საზოგადოება ხშირად ინტერესდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებითა და ღონისძიებებით, რაც თვალსაჩინოს ხდის საჯარო დაწესებულების საქმიანობას და ამ საქმიანობისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების განკარგვას. სასურველია, საჯარო დაწესებულებამ საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსოს დეტალური ინფორმაცია განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებისა და ღონისძიებების თაობაზე. კერძოდ, შემდეგი სახის ინფორმაცია:

○ **ინფორმაციას საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ** (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ., პროექტების ჩამონათვალი, თითოეულ პროექტზე დახარჯული თანხების ოდენობა, პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების ასლები, ინფორმაცია პროექტის შემუშავებისა და დამტკიცების თარიღის შესახებ, მიმდინარე წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამების შესახებ

ინფორმაცია, ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ, განხორციელებული პროექტების ანგარიშები, პროგრამის დაწყების თარიღი და ა.შ.);

○ **ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ** (განხორციელებული სარეკლამო, კულტურული, საგანანმანათლებლო, სამეცნიერო, სოციალური და სხვა ღონისძიებების ჩამონათვალი, თითოეულ ღონისძიებაზე დახარჯული თანხის რაოდენობა, ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის ამსახველი დოკუმენტაციის ქსეროასლები, მიმდინარე ღონისძიებების დაფინანსების წყაროები, შესაბამისი დოკუმენტაციის ქსეროასლები და ა.შ.).

➤ **სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაცია** - საზოგადოება ხშირად ინტერესდება საჯარო დაწესებულების შესახებ არსებული ოფიციალური დოკუმენტაციით, როგორცაა ბრძანებები, დებულებები, დადგენილებები, განხორციელებული სამუშაოების ამსახველი სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტები, თანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე დოკუმენტების ასლები.

➤ **საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების განახლებადი რეესტრი** - სასურველია, საჯარო დაწესებულებამ ვებ-გვერდზე განათავსოს საჯარო ინფორმაციის რეესტრი - შესული მოთხოვნებისა და გაცემული პასუხების შესახებ ცნობებით, იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს პასუხს საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილებაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რეკვიზიტებზე მითითებით და ა.შ. ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება შეამცირებს ერთ საკითხზე მრავალი ინდივიდუალური მოთხოვნების რაოდენობას, და დაზოგავს საჯარო დაწესებულების რესურსებს.

➤ **საკონსულტაციო სახის შეკითხვები - ხშირად დასმული კითხვები** - საჯარო დაწესებულებას საკმაოდ ხშირად მიმართავენ არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, არამედ საკონსულტაციო სახის შეკითხვებით, როგორცაა მითითებები ხელშეკრულების გაფორმების შესახებ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო დაწესებულება ხშირ შემთხვევაში სრულყოფილად პასუხობს ასეთ კითხვებს. თუმცა, იმისათვის რომ დაიზოგოს საჯარო დაწესებულების მიერ დახარჯული დრო, ადამიანური და ფინანსური რესურსები, სასურველია, ასეთი სახის ინფორმაცია განთავსდეს საიტზე **ხშირად დასმული კითხვების (Frequently Asked Questions - FAQ) სახით**.

არასრულყოფილი პასუხების თავიდან აცილება

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საკმაოდ დიდია არასრულყოფილი პასუხების წილი. მაგალითად აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პასუხების მხოლოდ 18% სრულად შეესაბამება გამოთხოვილ ინფორმაციას. როდესაც საჯარო დაწესებულება სრულად არ პასუხობს მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, გაცემული პასუხის შემთხვევაშიც კი ის არასრულყოფილად ითვლება. ამიტომ, სასურველია, საჯარო დაწესებულებამ სრულად უპასუხოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, ხოლო პასუხის არგაცემის შემთხვევაში სათანადოდ დაასაბუთოს უარი.

ასევე საკმაოდ ხშირია ინფორმაციის გაცემის ნაცვლად გადამისამართება ვებ-გვერდებზე, რაც ასევე არ არის სრულყოფილი პასუხი, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა“. სასურველია, საჯარო დაწესებულებამ იმ ფორმით გასცეს საჯარო ინფორმაცია, რა ფორმითაც არის ის მოთხოვნილი, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არ არსებობს, სათანადოდ დაასაბუთოს საკუთარი ქმედება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროაქტიული გამოქვეყნება არ უქმნის საჯარო დაწესებულებას იმის საფუძველს, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს უპასუხოს ვებ-გვერდზე გადამისამართებით. ამ შემთხვევაში პროაქტიული გამოქვეყნება მხოლოდ და მხოლოდ ამცირებს პოტენციური მოთხოვნების რიცხვს, რადგან საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული პირები შემდგომში ჯერ ვებ-გვერდს შეამოწმებენ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოითხოვენ კონკრეტულ ინფორმაციას, თუ ის ვებ-გვერდზე არ იქნება განთავსებული.

საჯარო ინფორმაციის გაცემა ვადების დაცვით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.“

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული პასუხების 55%-ში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადა დარღვეულია. სასურველია, საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ, ან უკიდურეს შემთხვევაში 10 დღიანი ვადის დაცვით გაიცეს.

იგნორირებული და უარყოფილი საკითხები

ისეთი შემთხვევები, როდესაც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებაში ნახსენები საკითხი სრულიად უგულებელყოფილია საჯარო დაწესებულების მიერ, მერყეობს პასუხების მთლიანი რაოდენობის 1-8%-მდე. თუმცა ორ შემთხვევაში ასეთი პასუხების რაოდენობა საგანგაშოდ მაღალია - აჭარის მთავრობის მიერ გაცემული პასუხების 20%-ია იგნორირებული, ხოლო აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტროს შემთხვევაში ასეთი პასუხების წილი 58%-ს აღწევს. სასურველია, საჯარო დაწესებულება ყურადღებით გაეცნოს შესულ მოთხოვნებს და ყველა პუნქტს ზედმიწევნით უპასუხოს. იმ შემთხვევაში კი, თუ საჯარო ინფორმაციას ვერ გასცემს, უარი უნდა იყოს დასაბუთებული - შესაბამის სამართლებრივ ნორმაზე მითითებით.